

## საკრებულოს წევრის საქმიანობის წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნატალია ძიმიგური

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორები”-ს  
თავმჯდომარე (10.08.2021–დე)

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორები”-ს წევრი

კომისიის (კომისიების) წევრობა: განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის

საკითხთა კომისია; ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული წესით

საანგარიშგებო პერიოდი: 2020 -2021 წელი

---

### განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: სულ გაიმართა 11 სხდომა , აქედან 8 სხდომას ვესწრებოდი;
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა: 121 საკითხი;
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა: საკრებულოს სხდომის ოქმებში ასახულია კონკრეტული საკითხების მიმართ ჩემი პოზიცია.
4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:  
ჩატარდა განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის 10 სხდომა, აქედან 6 კომისიის მუშაობაში მივიღე მონაწილეობა;  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის 3 სხდომა ჩატარდა, აქედან 2 მივიღე მონაწილეობა;
5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა განხილულია განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაზე 35 საკითხი;  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიაზე 2 საკითხი;
6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:  
ნაწილობრივ საკითხი ორივე კომისიაზე ჩემს მიერ იყო მხარდაჭერილი, მაგრამ

მქონდა რიგი შენიშვნები და მოსაზრებები რაც გათვალისწინებული იქნა;

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები:

ქ. ბათუმის მერიის პროგრამაში „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ( 7 და მეტი შვილი) საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა“ წარმატებით განხორციელდა ცვლილება(2019 წელს დაინიცირებული), რომელიც ითვალისწინებს ექვს შვილიან ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას. ამ ცვლილების მიხედვით 2021 წელს ბინები გადაეცა 15 მრავალშვილიან ოჯახს.

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:  
ყოველ სამუშაო დღეს , თემატური შეხვედრები ;

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა:  
პანდემიის გამო შეხვედრები შემცირებულია,ძირითადათ იმართება სატელეფონო კომუნიკაცია.

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:  
სოციალური და ჯანდაცვის საკითხებში გარკვევა და მხარდაჭერა.

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები :

მე გახლავართ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 3 (სამი) კომისიის წევრი კერძოდ:

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი - ქვეპროგრამა “კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა “ დაფინანსების ფარგლებში.

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი- ქვეპროგრამა “ხელოვანთა ხელშეწყობის“ დაფინანსების ფარგლებში.

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი- საერთაშორისო - ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის „თანაბარი შესაძლებლობები-განვითარების ინიციატივები“ კომისიის წევრი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

12.ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა:

სამწუხაროდ, მსოფლიოში არსებული პანდემიის (COVID-19 ვირუსის) გამო, შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ღონისძიებების აღნიშვნა და მათზე დასწრება შეუძლებელია, აქედან გამომდინარე სხვა სახის საქმიანობა და აქტივობა არ განხორციელებულა.

## **შედეგი, ეფექტი:**

მიღებული იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებები მსოფლიო პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, შემუშავებული იქნას ისეთი პროგრამები/სტრატეგიები რომლებიც ასახავს პოსტპანდემიურ რეალობას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოქალაქეების საჭიროებები.

## **შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:**

პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურების გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის მიზნით.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მერიამ იფუნქციონიროს მაქსიმალურად ეფექტიანად და პროდუქტიულად, კომპეტენტურად და გამჭვირვალედ, უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა თანამონაწილეობა და ჩართულობა.

საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში გასაძლიერებელია კონტროლი და ზედამხედველობა საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე, რიგ შემთხვევებში დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევაც, ახალი რეგულირების წესების შემოღება, შიდა აუდიტის რეკომენდაციების მაქსიმალურად გათვალისწინება და სხვა. სასურველია მოხდეს არსებული სიტუაციის გაანალიზება, პრობლემების, სუსტი და ძლიერი მხარეების აღმოჩენა შემდგომი რეაგირებისთვის. რეგიონის გაძლიერებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, უცხოელი და ადგილობრივი სპეციალისტების მოწვევა ქალაქის ურბანული განვითარების დაგეგმარების(გამოსწორების) პროცესში, დაუსრულებელი მშენებლობების აღწერა შემდგომი რეაგირებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია უკანონო მშენებლობების აღკვეთა.

ქალაქს არ გააჩნია გენერალური განვითარების გეგმა. ფუნქციონარული პროფილის გაძლიერების ღონიზმიები და დივერსიფიკაცია მიმდინარეობს ნელი ტემპით.

ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების კეთილმოწყობა, საგზაო, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების გამართვა, აღნიშნული ტერიტორიის სწორი ურბანული განვითარება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილს რაც შეეხება დასახვეწია ბიუჯეტის პროგრამული ნაწილის მონიტორინგის, შესრულების და შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია გაწეული მომსახურების კმაყოფილების დონის ხარისხობრივი ინდიკატორების არსებობა, სწორი, სანდო და ობიექტური უკუკავშირი მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი/განხორციელებული პროექტების დაგეგმვის

დროს, რათა უკეთ მოხდეს შედეგების შეფასება. ასევე ვფიქრობ, რომ გადასახედია მუნიციპალური პროგრამების არსებობის ვადები და მოსარგებლე ჯგუფები.

გასააქტიურებელია ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების აღსრულების მექანიზმები. პირველ რიგში ეს ეხება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და კაპიტალურ მშენებლობას, გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მოვლა პატრონობას, ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას და ტრანსპორტის შეუფერხებელ გადაადგილებას. დროული, პრაგმატული და ადეკვატური ნაბიჯებია გადასადგამი ქალაქის ტერიტორიაზე ახალი საპარკინგე ადგილების შექმნის მიზნით.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის პროგრამების შესრულების მონიტორინგის გაძლიერება. ეს ეხება მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობას, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარულ მონიტორინგს, ქალაქის დასუფთავების მომსახურების განხორციელებას, ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფას, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოებას.

პატივიცემით,

ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრი  
ნატალია მიძიგური

ბათუმი  
21.10.2021 წელი